ნინო დათეშიძე
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ninodate@gmail.com

ნათელა მუზაშვილი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
natelamuza@yahoo.com

მარინე ოსაძე
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
marineosadze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: აფიქსოიდი, ტერმინელემენტი, კომპოზიტები.

აფიქსოიდიან ტერმინთა სტრუქტურული ჯგუფები

ტერმინთა სისტემაში გამოყოფენ ელემენტებს, რომლებსაც ტერმინელემენტებს უწოდებენ. მათ მკვეთრად გამოხატული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ და მიუთითებენ განსაზღვრულ ტერმინოლოგიურ ველზე. ტერმინელემენტებს აქვს სემანტიკური, სტრუქტურული და ფუნქციური თვისებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს ელემენტები ტერმინთა შექმნისათვის მზამზარეულ სტანდარტულ მაწარმოებლებს წარმოადგენენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინთა შექმნა ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვათწარმოების სისტემას. ტერმინოლოგიაში რომელიმე აფიქსი შეიძლება უფრო პროდუქტიული იყოს ან განსხვავებული შინაარსიც კი შეიძინოს, მაგ.,-იან და -ოვან სუფიქსებმა თანთათანობით სამეცნიერო ტერმინოლოგიაში გამოყენების არე გაიფართოვეს და ახალი სემანტიკური დატვირთვა მიიღეს. ქიმიის ტერმინოლოგიაში *ქლორიანი* და *ქლოროვანი* ფორმები მნიშვნელობით განსხვავდება.

ენათმეცნიერები შენიშნავენ, რომ ტერმინთა შექმნისას ყველაზე აქტიური საშუალებაა კომპოზიცია, რადგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რთულ ცნებათა კომპაქტურად გადმოცემის შესაძლებლობას.

აფიქსოიდები სხვა ენებიდან (ბერძნულ-ლათინური) მზამზარეულად შემოტანილ სტრუქტურულ ელემენტებს ეწოდება, რომლებიც დამოუკიდებელი სიტყვებიდან მომდინარეობს, ხოლო დროთა განმავლობაში დამოუკიდებლობას კარგავს. აფიქსოიდებს თავიანთი გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მაგ.: *გრაფ-ი* აღნიშნავს ხელსაწყოს, *სკოპ-ი* -ოპტიკურ ხელსაწყოს ან ინსტრუმენტს, *მეტრ-ი* -საზომ ხელსაწყოს და ასე შემდეგ.

აფიქსოიდები სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან. ქართულში აფიქსოიდები როგორც ფორმობრივად, ასევე სემანტიკურად რუსულის მსგავსად ფორმდება, რადგან ისინი რუსულის გზით შემოდიოდა. ამ ტერმინთა შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, აფიქსოიდიანი ტერმინი რთული სიტყვაა თუ ნაწარმოები, ანუ უნდა დაზუსტდეს, აფიქსოიდი არის თუ არა დერივაციული მაწარმოებელი.

შენიშნავენ, რომ აფიქსოიდით ნაწარმოები სიტყვები ხელაღებით არც რთულ სიტყვებად შეიძლება იყოს მიჩნეული, არც ნაწარმოებად, ესაა ერთგვარად გარდამავალი ჯგუფი რთულსა და ნაწარმოებ ტერმინებს შორის. ამგვარ სიტყვათა უმრავლესობაში მათ შემადგენელ ერთ-ერთი ნაწილს დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და ამავე დროს რეგულარულად გამოიყენება სხვა ტერმინების საწარმოებლად. ზოგი მეცნიერი მათ ნაწარმოებ სიტყვებს უფრო უახლოებს და დერივაციულ ჯგუფში აქცევს.

ქართულ ენაში საერთაშორისო აფიქსოიდების გვერდით ქართული შესატყვისებიც გვხვდება. ქართულში, სხვა ენების მსგავსად, აფიქსოიდების ფუნქციით გვაქვს ისეთი მორფემები, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს *(გადამეტ-, კმა-, თბო-, -ბადი,-ნაგი, - თანი* ა. შ.), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სიტყვებს დამოუკიდებლობა დაკარგული არ აქვს და მაინც აფიქსოიდების ფუნქცია ენიჭება. სრულმნიშნელოვანი სიტყვებიდან აფიქსოიდების ფუნქციით გამოიყენება ზედსართავები, მიმღეობები და ზმნისზედები შეკვეცილი ან სრული სახით (პრეფიქსოიდები: *მაღალ-, დაბალ-, მსხვილ-, წვრილ-* და სუფიქსოიდები: *-საზომი, -მავალი, -გამტარი, -მდგრადი, -მედეგი* და სხვ.).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აფიქსოიდებსა და აფიქსოიდიან ტერმინებზე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებულა. ის კარგად არის შესწავლილ ქართველ ენათმეცნიერთა მიერ . მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ცალკეული კონკრეტული პრობლემა, რომელიც, ბუ-

ნებრივია, დაფიქრებას, დაზუსტებასა და გადაწყვეტას მოითხოვს (დათეშიძე ნ., მუზაშვილი ნ., ოსაძე მ., სხირტლაძე ნ.).

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უნდა გამოიკვეთოს, აფიქსოიდთა კვალიფიკაციაა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, აფიქსოიდები მზამზარეული ტერმინელემენტებია, რომლებიც ძირითადად ბერძნულ- ლათინურიდან მომდინარეობს. აფიქსოიდიანი ტერმინები კალკირებულია, თუმცა ყველა ენას აქვს პოტენცია, საკუთარი ენობრივი ლექსიკური ერთეულის გამოყენებით შეარჩიოს და შექმნას აფიქსოიდი. ამდენად, ენა იყენებს ყალიბს აფიქსოიდის შესაქმნელად საკუთარი ენობრივი საშუალებების გამოყენებით. ამის მაგალითად უნდა დავასახელოთ *-მიერი* და *-ნაგი* აფიქსოიდები, რომლებსაც სხვა ენებში შესატყვისები არ ეძებნება. *-მიერი* აფიქსოიდი გამოიყენება ფონეტიკის ტერმინოლოგიაში: იგი მიუთითებს ფონემათა წარმოთქმის ადგილს *(ბაგისმიერი, კბილისმიერი, ნუნისმიერი* და სხვ.). ეს აფიქსოიდი ტექნიკისა და საბუნებისმეტყველო დარგებში თვისების კატეგორიის ცნებას გამოხატავს, მაგ., *ქარისმიერი ეროზია.*

-ნაგი (მომდინარეობა ამონაგებიდან). – *ნაგი* მიმღეობის ხელოვნურად შეკვეცილი ფორმაა, რომელიც სულ რამდენიმე ტერმინში გვხვდება: *ქვანაგი, შუანაგი, ფიცარნაგი.*

როგორც ჩანს, აფიქსოიდიან ტერმინთა კვალიფიკაცია ერთ-ერთი რთული საკითხია. ენათმეცნიერებს არ აქვთ ერთგვაროვანი პასუხი, ის რთული სიტყვაა თუ წარმოქმნილი. ზოგი ამ ტიპის ტერმინს განიხილავს, როგორც კომპოზიტს და აფიქსოიდს მიიჩნევს რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად, მაგ., *ავტო* – თვით-რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია; *-გრაფია* -მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ვწერ-რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილია.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ ტიპის ტერმინები კომპოზიტებია, მაშინ გამოდის, რომ უგულებელვყოფთ აფიქსოიდთა არსებობას, რომლებიც, ბუნებრივია, შეუძლებელია, ცალკე მაწარმოებელ ელემენტად არ გამოიყოს, განსაკუთრებით ისეთი აფიქსოიდები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებად აღარ გამოიყენება *(თბო-, კმა-, უკუ-, წინაღ-, აერო-, ანტი-, ბიო-, -ინტერ...*), არის ტერმინმაწარმოებლები, რადგან ყველა ის ფუნქცია აქვს, რომლებიც აფიქსოიდებისათვის არის დამახასიათებელი, აფიქსოიდებს კი, აფიქსებისაგან განსხვავებით, სემანტიკური დატვირთვა მკვეთრად აქვთ გამოხატული. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მათი აფიქსოიდად უგულებელყოფა.

ქართულ ტერმინოლოგიაში აფიქსოიდურ ტერმინთა არაერთი

ნორმაა შემუშავებული. მიუხედავად ამისა, არის კიდევ გასააზრებელი და გადასაწყვეტი საკითხები. ტერმინები უნდა დაჯგუფდეს სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით, მაგ.: ცალკე ჯგუფად გამოიყოს პრეფიქსოიდიანი ტერმინები, ცალკე -სუფიქსოიდიანი. ტერმინები დაჯგუფდება ასევე უცხო წარმომავლობისა და ქართულაფიქსოიდიან ტერმინებად, ცალკე უნდა გამოიყოს ჰიბრიდული ტერმინები.

არსებობს ზოგიერთი ენის აფიქსოიდთა ლექსიკონი. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ლექსიკონი არ მოგვეპოვება, ამიტომ ტერმინოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნება ტერმინთბანკში მიმდინარე სამუშაოს დასრულება, ვგულისხმობთ, აფიქსოიდების გამოყოფას დარგობრივ ლექსიკონებსა და სხვა სახის (დიალექტურ, ძველ ქართულ) მასალაში. ამ სახით მასალის დამუშავება სრულად წარმოაჩენს ძველ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებით და განსხვავებულ მიდგომას ბერძნულ აფიქსოიდთა ქართული შესატყვისების გამოყენების თვალსაზრისით, ასევე აფიქსოიდთა წარმომავლობასა და ქართულში არსებულ ყველა შესატყვისს (სხირტლაძე 2019). ეს მოაწესრიგებს იმ სიჭრელეს, რომელიც არსებობს აფიქსოიდიან ტერმინთა დაწერილობისას. მაგ., *წინასწარდაძაბული* ერთად უნდა დაიწეროს თუ დეფისით, ასევე – *შიგამოძრაობა.*

ტერმინთბანკში აფიქსოიდები შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი:

პრეფიქსოიდები: 1, *გადამეტ-* (მომდინარეობს გადამეტებიდან), გამოიყენება პროცესებისა და თვისების კატეგორიის სიტყვების საწარმოებლად, რომლებშიც მოქმედების ინტენსივობა, გადაჭარბებით შესრულებაა ნაჩვენები. მაგ.: *გადამეტბურღვა, გადამეტაგზნება, გადამეტდენი.....* 2. *კმა-* (მომდინერეობს საკმარისიდან) გამოიყენება მოქმედების საბოლოო ფაზის, ბოლო მონაკვეთის დასრულების აღსანიშნავად, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში ფინალურ-შედეგობრივი მნიშვნელობა ეწოდება. მაგ.: *კმაირება, კმაბურღვა, კმადატენიანება, კმამოჭერა....* 3. *უკმარ* (მომდინარეობს უკმარისობიდან), გამოხატავს რისამე უკმარისობას, ნაკლებობას, მაგ.: *უკმარაგზნება, უკმარბურღვა, უკმარგაცრილი, უკმარგლინვა.....*

სუფიქსოიდები ასე იქნება წარმოდგენილი 1. *-საწინაღო* (მომდინარეობს საწინააღმდეგოდან), მნიშვნელობის მიხედვით იგი *წინაღ-* პრეფიქსოიდის სინონიმია, ოღონდ ფუნქციურად მისგან განსხვავებული: წინაღდართული ფორმები საგნის კატეგორიის გამომხატველი ტერმინებია და ნაკლებპროდუქტიული: *წინაღზამბარა, წი-*

ნაღკოშკი, წინაღელემენტი....., ხოლო *-საწინაღო* თვისების კატეგორიას აღნიშნავს. მაგ.: *ამიაკსაწინაღო, მუხტსაწინაღო, ატომსაწინაღო.....*

2. *-საზომი* გამოიყენება მეტროლოგიაში საზომ ხელსაწყოთა აღსანიშნავად . მაგ.: *კუთხესაზომი, წყალსაზომი, მანძილსაზომი.*

3. *-მედეგი* თვისების გამომხატველ ტერმინებს აწარმოებს და მეტად პროდუქტიულია. მაგ.: *ყინვამედეგი, ცვენამედეგი.*

უცხო წარმომავლობის აფიქსოიდები: *პოლი-* (მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს: ბევრს, მრავალრიცხოვანს). ტექნიკურ დარგებში დაერთვის მხოლოდ უცხო ძირებს. მაგ.; *პოლიგონი, პოლიეთილენი, პოლივერბალი.....* ამ აფიქსოიდს ქართულში შეესატყვისება მრავლობითობის აღმნიშვნელი *მრავალ-*. ის დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხოურ ფუძეებს. მაგ.: *მრავალწევრა, მრავალციკლური, მრავალსეგმენტიანი.* სამედიცინო და ბიოლოგიის ტერმინოლოგიებში მხოლოდ ბერძნული ძირი გამოიყენება, ტექნიკურ დარგებში ერთნაირი სიხშირით გამოიყენება როგორც ბერძნული, ისე მისი ქართული შესატყვისი.

პრეფიქსოიდი *ენდო-* მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს შიგნით, შიგ. ტექნიკურ დარგებში დაერთვის მხოლოდ უცხო ფუძეებს, მაგ.: *ენდოდინამიკური, ენდოვიბრატორული, ენდოთერმული.* ბერძნულ-ლათინურ აფიქსოიდთან ერთად იხმარება მისი ქართული შესატყვისი *შიგა-*, მაგ.: *შიგასამოსი, შიგასახეხი, შიგაატომური* და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფიქსოიდიან ტერმინებში ერთ-ერთი პრობლემა მათი დაწერილობაა. ბუნებრივია,რომ თუ მათ მივიჩნევთ დერივაციულ სიტყვად, მაშინ ისინი ერთად უნდა დაიწეროს, როგორც ჩვეულებრივ ნაწარმოები სიტყვ**ა:** *წინასწარხედვა, წინასწარმთქმელი, წინასწარდაძაბული, წინასწარმოცემული, წინასწარშემთბობი; შიგამოდება, შიგამოძრაობა, შიგანორმალი, შიგასახეხი და სხვ.*

ისეთი ფორმების მართლწერა, რომლებშიც აფიქსოიდი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სიტყვას, არ იწვევს ორაზროვნებასა და სირთულეს, მაგ.: *აეროფილტრი, აეროხაზი, ავტობაზა, ავტოამწე, თბოძრავა, თერმოკონტაქტი* და სხვ. ამ ტიპის ტერმინები ერთად იწერება, მაგრამ როდესაც აფიქსოიდი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ნორმა ხშირად დასაზუსტებელია, განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ისეთ პარალელურ ფორმებზე, როგორებიცაა: *ნახევარ-ნახევრად* და *ახალ-ახლად* და სხვა ამ ტიპის აფიქსოიდიან ტერმინებზე.

ნახევარ-ნახევრად სრულმნიშვნელობიან აფიქსებად მიაჩნია რ.ღამბაშიძეს. მათ მნიშვნელობასაც გამიჯნავს. შენიშნავს, რომ *ნახე-*

ვარ, მეტწილად, საგნების კატეგორიის ცნებებს გამოხატავს, *ნახევრად* კი – თვისების კატეგორიის ცნებებს, თუმცა თვითონვე თვლის, რომ ერთიც და მეორეც შეიძლება შებრუნებული ფუნქციითაც გამოიყენებოდეს. ვფიქრობთ, რომ *ნახევარ და ნახევრად* აფიქსოიდების გამიჯვნა მნიშვნელობით ჭირს, ისინი მხოლოდ ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.მაგ., ერთი მხრივ, *ნახევარბურღი, ნახევარღუზა, ნახევარბრუნი,* მეორე მხრივ, *ნახევრად ავტომატური, ნახევრად ამრეკლი, ნახევრად გამტარი.*

ასეთივე პარალელური ფორმები დასტურდება *ახალ და ახლად* აფიქსოიდიან ფორმებში. ეს აფიქსოიდებიც განსხვავდებიან ფორმით, ერთი მხრივ, *ახალმშენებლობა, ახალნალექი, ახალწარმონაქმნი,* მეორე მრივ, *ახლად დაყალიბებული.*

ორთოგრაფიულ ლექსიკონში *ახალ და ახლად* გამიჯნულია. *ახალ* ფუძესთან არის შენიშვნა, რომ მომდევნო სიტყვასთან ერთად იწერება, როგორც კომპოზიტის წევრი, *ახლად* კი იწერება ცალკე. მაგ., *ახალაშენებული, ახალაგებული, ახალამოსული* და სხვ. *ახლად* ნიშნავს ახლახან და ხელახლა. მაგ., *ახლად აგებული, ახლად არჩეული, ახლად აღმოჩენილი.*

ასეთი გამიჯვნის დროს, როგორც ჩანს, უგულებელყოფილია *ახალ და ახლად* აფიქსოიდები და რთული ფუძის შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული. *ახალ და ახლად* აფიქსოიდებით გაფორმებულ სიტყვებს თუ დავუკვირდებით, აშკარაა,რომ მათი გამიჯვნა გაჭირდება, რადგან არსებობს პარალელური ფორმები, კერძოდ: *ახლად აგებული და ახალაგებული.* ისინი მხოლოდ ფორმით არის გამიჯნული, ერთ შემთხვევაში მსაზღვრელიდან მომდინარეობს, მეორე შემთხვევაში – ვითარების ზმნიზედიდან. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აფიქსოიდიანი ტერმინებიდან ორივე დასაშვები ფორმაა, მაგრამ ვფიქრობთ, ვითარების ზმნისზედიანი ფორმები დაიწეროს ერთად. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტი,რომ ენაში შეიმჩნევა ტენდენცია ასეთი ფორმების ერთად დაწერისა. ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი სიტყვათმაწარმოებელი,სტრუქტურული და სემანტიკური სპეციფიკის გამოვლენა, ზოგადად, რა ადგილი უჭირავს მათ სიტყვათმაწარმოებელ სისტემაში. ფუნქციური თვალსაზრისით ისინი სიტყვათმაწარმოებლებს უახლოვდებიან, მაგრამ სემანტიკურად და სტრუქტურულად ისინი მკვეთრად შეიძლება მათგან გაიმიჯნოს-შინაარსობრივი დატვირთვა მათ უფრო მეტი აქვს, მაგრამ სიტყვათმაწარმოებელი ფუნქცია ისეთივე, როგორიც თავსართებს, ბოლოსართებსა და თავ-

სართ-ბოლოსართებს. ეს კი, ვფიქრობთ, მათს უნიკალურობას განსაზღვრავს და გვაფიქრებინებს, რომ აფიქსოიდები სრულიად განსხვავებულ სტრუქტურულ ჯგუფს ქმნის, რომელიც, ჩვენი აზრით,თავისუფლად შეიძლება ქართული ენის დერივაციულ სისტემაში ცალკე ჯგუფად გამოიყოს, როგორც სიტყვათწარმოების კიდევ ერთი საშუალება, რომელიც სულ უფრო იფართოებს გამოყენების სფეროს როგორც საერთო სალიტერატურო ქართულში, ასევე ტერმინოლოგიაში.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ აფიქსოიდიან ტერმინთა სრულყოფილად დამუშავება ტერმინთბანკში ასახულ მასალაში ხელს შეუწყობს მათს ნორმალიზაციას, რაც მნიშვნელოვანი იქნება ტერმინოლოგიური მუშაობისათვის..

ლიტერატურა

დათეშიძე 2013 – ნ. დათეშიძე, აფიქსოიდთა სიტყვათწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, Xlll, თბილისი.

მუზაშვილი 2018 – ნ. მუზაშვილი, წინ-, წინასწარ -აფიქსოიდთა გაფორმებისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XVlll, თბილისი.

ოსაძე 2016 – მ. ოსაძე, ტერმინთა სესხება-ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში, თბილისი.

სხირტლაძე 2019 – „ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი“ ქართულ ტერმინთსაცავში, კონფერენცია „სამეცნიერო საკითხები“.

ღამბაშიძე 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები, თბილისი.

ლექსიკონები

ტექნიკური ტერმინოლოგია 1982, თბილისი.

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

სამხედრო ტერმინოლოგია 1987, თბილისი.

ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგია 1987, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

Nino Dateshidze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
ninodate@gmail.com
Natela Muzashvili
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
natelamuza@yahoo.com
Marine Osadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
marineosadze@mail.ru

Keywords: Affixoid, Term Element, Composites.

Structural Groups of Terms with Affixoids

Summary

Elements called *term elements* are distinguished in the system of terms. They have a well-defined terminological meaning and indicate a specific terminological field. *Term elements* have semantic, structural, and functional properties. It can be claimed that these elements are ready-made, standard models for creating terms. Amongst them, affixes should be distinguished. Terms with affixes are established in all languages although the attitude towards them is ambiguous. One of the issues is whether the terms with affixes are compound words or derivatives.

Theoretical research is of particular importance in resolving orthographic issues. This issue has been studied to a certain extent in Georgian scientific literature. Many researchers were interested in the terms with affixes. However, the problem has not been solved; it has yet to be regulated and resolved.

Terms with affixes should be grouped according to different classifications. The following independent groups should be differentiated: terms with prefixes and suffixes, terms of foreign origin and Georgian affixes, and also, hybrid terms should be singled out independently.

International affixes have their corresponding Georgian equivalents. They are translated word- for word, employed in the semantically

identical meaning and frequently substitute the international affixes. In addition to international affixes, there is a tendency for some Georgian stems to turn into affixes. This problem also calls for independent exploration.

In order to enhance the terminological work, we find it necessary to represent all the affixes based on their etymology in the term bank. This will improve the heterogeneous situation inherent in the formation of words with affixes. For instance, whether to write a term *წინასწარ დაძაბული* (tech) as one word or separately. Also, *შიგამოძრაობა*, lexical items formed by semi-affixoid, e.g. *ნახევრად ბმული* cf. *ნახევარსიბრტყე*. Georgian is distinguished by the abundance of such affixoids, and this issue needs to be studied.

In some languages, there is a dictionary of affixes. Unfortunately, such a dictionary does not exist in Georgian. Therefore, the grouping of the structural grouping of affixes acquires special importance. Clarification will single out the problems concerning the issue as well as the ways to resolve it.

This will also enable us to create a dictionary of affixes which has not yet been published in Georgian. It should be noted that affixal formation is a dynamic process. Many branches of science use affixes to create new terms. Therefore, this dictionary will assist the scientists to employ the affixes, both Georgian and foreign, as they express the essence of the concept more laconically and precisely.